საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა Erasmus+ მობილობა ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში

4-8 ნომბერს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის თანამშრომლები ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე და დოქ. ნიკოლოზ ბრეგვაძე ტრეინინგის მიზნით ადმინისტრაციული პერსონალის მობილობით იმყოფებოდნენ პროექტის კოორდინატორ, სლოვაკეთის ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში (კფუ).



მობილობის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მასპინძელი უნივერსიტეტის Erasmus+ კოორდინატორთან, ქალბატონ კატარინა ბუტოროვასთან. სამუშაო შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ გაცვლითი პროგრამების განხორციელებაში ჩართული სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლები: პროფ. ადრიანა რეჩკა, განათლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; პროფ. ჟანა დეპეშოვა, განათლების ფაკულტეტი, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; დოქტორი გაბრიელ ბანეზჟი, განათლების ფაკულტეტი; პროფ. ალენა ჰაშკოვა, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

სლოვაკელ კოლეგებთან შეხვედრაზე განხილული იქნა სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის, ECTS კრედიტების აღიარების, უნივერსიტეტის შიდა და გარე შეფასების იდეოლოგიის საკითხები.

ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ასევე, მოინახულეს ნიტრას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ხელოვნების, ევროპული სწავლების, საბუნებისმეტყველო და ინფორმატიკის ფაკულტეტები, ასევე, ახლად გახსნილი მიკრობიოლოგიის ლაბორატორია. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს გააცნეს სტუ-ში მიმდინარე მოვლენები და სამომავლო გეგმები, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე სასწავლო მიმართულებით.

მონიტორინგის მიზნით ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ კფუ-ში Erasmus+ მობილობით მყოფ სტუ-ს დოქტორანტურისა და ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტებს: სალომე მუხაშავრიას, გურამ ჩილინდრიშვილს, ნიკოლოზ კაკაურიძეს და მათ პედაგოგებს, რომლებმაც ქართველი სტუდენტები დადებითად დაახასიათეს.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებული იყო სოციალურ-კულტურული ღონისძიებები.